

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2010 წლის 24 მარტის

№221 დადგენილება

2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრის
საათობრივი ანაზღაურების ნიხრების შესახებ

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით გარედან მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
 - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – 4,10 ლარი საათში;
 - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის არ მქონე პირი – 3,50 ლარი საათში.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები, სახელშეკრულებო დატვირთვის ზემოთ განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
 - სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი სრული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,70 ლარი საათში;
 - ასოცირებული პროფესორი და მოწვეული პროფესორი ასოცირებული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,10 ლარი საათში;
 - ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოქტორანტი – 3,50 ლარი საათში.

წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად საკითხს გაიტანს პროფ გ.
აბრამიშვილი.

აკადემიური საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე , რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

დ. კლიმიაშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე